საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №1

ქ. თბილისი 15.02.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

იოსებ სალუქვაძე - ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

გაიანე სიმონია - ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიის დეპარტამენტის გერიატრიის მიმართულების სრული პროფესორი, სამედიცინოგანათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს მდივანი

მარინა ქავთარაძე - ა(ა)იპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი

ლალი ღოღელიანი - ა(ა)იპსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ა(ა)იპსაქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ელენე ჯიბლაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს კოორდინატორი;

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. მერაბ ხალვაში - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
2. ირაკლი ბარამიძე - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
3. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
4. სერგო ვარდოსანიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი;

5. თამაზ ვაჩაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის კანცლერი;
6. ვლადიმერ სახელაშვილი - შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი;
7. მარინე მარინაშვილი - შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;
8. ემრულად დემირი - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის დირექტორი;
9. ქეთევან ჭანტურია - შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის დირექტორის მოადგილე;
10. ლალი ხვედელიძე - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის კანცლერი;
11. ნათია მიქელაძე - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
12. დავით აფრასიძე - ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
13. ნინო ჟვანია - ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;

ავტორიზაციის ექსპერტები:
მაია ხურცილავა- ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ფეტვიაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:21 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №117 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №95 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
3. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
4. შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
5. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში წარმოდგენილი იყო ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა ,,სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის და სტუდენტთა მაქსიმალური კონტიგენტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შემცირებას. ნანა ჭიღლაძემ აღნიშნა, რომ ცენტრის დირექტორი სხდომას მოგვიანებით შემოუერთდებოდა და სასურველი იქნებოდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისთვის და შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი განხილულიყო ბოლოს, რათა ცენტრის დირექტორს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირება შეძლებოდა. საბჭომ ერთხად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №117 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ"

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №95 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
3. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
5. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ
6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
7. შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

1. ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №117 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ცენტრის წარმომადგენელმა კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა. მან აღნიშნა, რომ ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №117 გადაწყვეტილებით სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობად განესაზღვრა 4940 სტუდენტი, მათ შორის 500 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულების სურვილია სტუდენტთა მაქსიმალური კვოტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შემცირდეს 200 პროფესიულ სტუდენტამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით არ ირღვეოდა დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა, შესაბამისად თავისუფლად შეიძლებოდა დაწესებულების შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 4 აგვისტოს №117 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და სტუდენტთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 4940-ით და სტუდენთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

2. „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №95 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ცენტრის წარმომადგენელმა კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის N02/ს გადაწყვეტილებით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობად განესაზღვრა 328 სტუდენტი. „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №95 გადაწყვეტილებით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განესაზღვრა 80 პროფესიული სტუდენტით.

დაწესებულების სურვილია სტუდენტთა მაქსიმალური კვოტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შემცირდეს 50 პროფესიულ სტუდენტამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით არ ირღვეოდა დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა, შესაბამისად თავისუფლად შეიძლებოდა დაწესებულების შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 28 ივლისის №95 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და სტუდენტთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება, განახორციელოს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სტუდენტთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

3. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით ისწავლება ისტ-ი მე-2 და მე-4 კლასებში და რუსული ენა მე-5 კლასიდან. ეროვნული სასწავლო გეგმის მე-40 მუხლის მიხედვით, „სკოლა უფლებამოსილია გამონაკლისის სახით, სამინისტროსთან შეთანხმებით, მეორე უცხოური ენის სწავლება დაიწყოს ნებისმიერი კლასიდან.“ დაწესებულებას მსგავსი დოკუმენტი ექსპერტთა ჯგუფისათვის არ წარუდგენია.

1.2 ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, გრიფირებული სახელმძღვანელოები უნდა იყოს შერჩეული ჯერ კათედრის სხდომაზე და შემდეგ - დამტკიცებული პედაგოგიურ საბჭოზე. აღნიშნულ შემთხვევაში ეს პრინციპი დარღვეულია. სახელმძღვანელოები პირდაპირ დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე.

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმაში არ არის აზერბაჯანული სექტორის სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. შესაბამისად, დარღვეულია ეროვნული სასწავლო გეგმის მე-11 მუხლი.

1.4 კათედრის მიერ შემუშავებულია წლიური სამუშაო გეგმები, სასწავლო პროგრამები, თემატური გეგმები, თუმცა არ იყო წარმოდგენილი კათედრების სხდომების ოქმები, სადაც, დაწესებულების კათედრის დებულების თანახმად, უნდა ყოფილიყო განხილული სახელმძღვანელოები და კათედრის დებულება.

1.5 საათობრივ ბადეში, გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალში და თემატურ გეგმაში მითითებულია რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსული ენა დ.3.“, რომელიც, შინაარსობრივადაც და სტანდარტის მიხედვითაც, გულისხმობს ენის სწავლებას იმ ეტაპიდან, როდესაც მოსწავლე უკვე ფლობს კითხვისა და წერის ელემენტარულ ცოდნას. რთული დასადგენია, როგორ შეძლებს მასწავლებელი შესაბამისი დონის შედეგზე გასვლას, როდესაც არც სახელმძღვანელო და არც თემატური გეგმა არ ითვალისწინებს კითხვისა და წერის სწავლებას. გასათვალისწინებელია, რომ ეს სწავლების პირველი წელია.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმსა და შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ.

მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმს შორის 2012 წლის პირველ თებერვალს, შენობა-ნაგებობის ფლობასთან დაკავშირებით დადებულია იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.2 სპორტის თემატურ გეგმაში მითითებული აქტივობების შესაბამისი ინვენტარი დაწესებულებას სრულყოფილად არ გააჩნია. კერძოდ, თემატური გეგმის მიხედვით, მოსწავლეებს უნდა ჩაუტარდეთ მეცადინეობები - ბაგირზე ცოცვაში, აკრობატული ილეთების შესრულებასა და ფრენბურთში. დაწესებულებას აღნიშნული აქტივობების ჩატარებისთვის არ გააჩნია - ბაგირი, რბილი ლეიბები და ფრენბურთის ბადე.

2.3 დაწესებულებას საბუნებისმეტყველო ლაბორატორია/ლაბორატორიები არ გააჩნია. დაწესებულება გეგმავს სწავლების განხორციელებას მხოლოდ დაწყებით საფეხურზე.

2.4 ვინაიდან დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი აზერბაიჯანული სექტორისთვის არჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა, ამიტომ ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკაში არსებული აზერბაიჯანული სახელმძღვანელოების შესაბამისობის დადგენა სასკოლო სასწავლო გეგმასთან.

2.5 დაწესებულების ვებგვერდია www.marneulias.com ვებგვერდი სრულყოფილად ვერ ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. კერძოდ მასზე არ იყო განთავსებული სკოლის შინაგანაწესი, წესდება, სასკოლო გეგმა.

2.6 დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამონტაჟებულია 3 უსაფრთხოების კამერა (აქედან 2 დამონტაჟებულია შენობის გარე პერიმეტრზე, ერთი - შიდა პერიმეტრზე). ვიდეომეთვალყურეობის სისტემა არ შეესაბამება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

2.7 გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღმრიცხველი ჟურნალები არ არის დანომრილი და არ არის ზონარგაყრილი, რაც ვერ უზრუნველყოფს მათ სანდოობასა და დაცულობას.

3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ადმინისტრაციის განმარტებით მოსწავლეები ირიცხებოდნენ შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმში.

3.2 პედაგოგი აიგუნ ისმაილოვას დამთავრებული აქვს „საამშენებლო ინჟინრის" სპეციალობა და ასწავლის რუსულ ენას. ასევე ლალი შარიფოვას დამთავრებული აქვს ლოღმანის სამედიცინო სასწავლებელი და ასწავლის ხატვასა და ხელოვნებას.

3.3 მასწავლებლების - ლალი შარიფოვას, აითან ხუდაევას, აიგუნ მამედ ყიზი ისმაილოვას და ელდანიზ ეიუბ ოღლი გასაოვის დიპლომები კანონმდებლობით დადგენილი წესით არაა აღიარებული.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

1.1 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლას მე-7 კლასიდან აქვს უფლება განახორციელოს მეორე უცხო ენის სწავლება. თუკი, დაწესებულება გადაწყვეტს მეორე უცხოე ენა ასწავლოს მე-7 კლასამდე, ამისათვის მას სჭირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა. ავტორიზაციის ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება რუსულის სწავლებას იწყებდა მე-5 კლასიდან. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმმა 2013 წლის 15 თებერვალს ნებართვის მისაღებად განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ეწინააღმდეგებოდა თუ არა მოცემული შემთხვევა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს. ავტორიზაციის საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, სახეზე გვქონდა ეროვნული სასწავლო გეგმის დარღვევა. კერძოდ, სკოლაში პირველი უცხოური ენის სწავლება იწყება პირველი კლასიდან, ხოლო მეორის – VII კლასიდან. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ნებართვის მისაღებად უნდა მიემართა არა ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დღეს, არამედ გაცილებით უფრო ადრე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულებას ჯერ მოსწავლეები არ ჰყავდა, ამიტომ არ მიმართეს უფრო ადრე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის, დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, 1.2 შენიშვნა იყო არაარსებითი ხასიათის, ვინაიდან სკოლა ჯერ არ ფუნქციონირებდა. დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ პედაგოგიური საბჭოს წევრები, როგორც წესი, იმავდროულად მონაწილეობენ ასევე კათედრის სხდომების მუშაობაშიც. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებები პედაგოგთა საერთო კათედრაზე განიხილავდნენ და ამტკიცებდნენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას აღნიშნული საერთო სხდომის ოქმი. დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთო კათედრის სხდომის ოქმი. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დოკუმენტი იყო შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ სხივის მათემატიკის კათედრის სხდომის ოქმი. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ოქმი იყო შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების სკოლა-ლიცეუმ სხივის და არა ერთობლივი ან ავტორიზაციის მაძიებელი სუბიექტის კათედრის სხდომის ოქმი. ერთი სკოლის პედაგოგები ვერ განიხილავდნენ და დაამტკიცებდნენ მეორე დაწესებულების გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხას. შესაბამისად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კათედრის სხდომის ოქმი ასახავდა სკოლა-ლიცეუმი სხივის და არა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის გრიფირებული სახელმძღვანელოების დამტკიცების პროცედურას.

კახი ყურაშვილი დაინტრესდა, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე იყო თუ არა ვინმე, ვინც წინააღმდეგი მისცა ხმა გრიფირებული სახელმძღვანელოების დამტკიცებას. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით, საბჭოს ყველა წევრი იყო თანახმა, რომ წარმოდგენილი სახით დამტკიცებულიყო გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა. სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, ვინაიდან გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა ერთხმად იყო დამტკიცებული პედაგოგიურ საბჭოზე, 1.2 შენიშვნა შესაძლოა არაარსებითად ყოფილიყო ჩათვლილი, ვინაიდან პედაგოგებს კათედრის სხდომაზე ნაკლებ სავარაუდოა, რომ განსხვავებული პოზიცია

დაეფიქსირებინათ. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

1.3 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მოახსენა, რომ ცალკე იყო გაკეთებული ქართული და აზერბაიჯანულენოვანი სახელმძღვანელოების ჩამონათვალი. ავტორიზაციის ექსპერტის, ნინო ფეტვიაშვილის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა მათემატიკისა და ბუნების სახელმძღვანელოები, რომლებიც ორივე სექტორისთვის გამოიყენებოდა, თუმცა სხვა აზერბაიჯანულენოვანი წიგნების ჩამონათვალი ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. ნინო ფეტვიაშვილმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებას ფიზიკურად აზერბაიჯანულენოვანი სახელმძღვანელოები ბიბლიოთეკაში ჰქონდა, თუმცა ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი აზერბაიჯანული სექტორისთვის არჩეული სახელმძღვანელოების ნუსხა, ამიტომ ვერ მოხერხდა ბიბლიოთეკაში არსებული აზერბაიჯანული სახელმძღვანელოების შესაბამისობის დადგენა სასკოლო სასწავლო გეგმასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებისთვის ნაჩვენები იყო აზერბაიჯანულენოვანი წიგნები, რომლებიც ადეკვატურია სასკოლო სასწავლო გეგმასთან. კახი ყურაშვილის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ვერ დასტურებოდა ის გარემოება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული აზერბაიჯანულენოვანი წიგნები შეესაბამებოდა სასკოლო სასწავლო გეგმას, თუმცა ვერც ის დასტურდებოდა, რომ დაწესებულებას ეს სახელმძღვანელოები არ ჰქონდა, ვინაიდან ექსპერტის განმარტებით აზერბაიჯანულენოვანი სახელმძღვანელოები განთავსებული იყო შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის ბიბლიოთეკაში.

1.4 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ სამუშაო და თემატური გეგმები ხელმოწერილი იყო დირექტორის მიერ და ყველა მათგანს ჰქონდა ბეჭედი დასმული. დაწესებულების შიდარეგულაციური აქტების შესაბამისად, თანახმად, აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა დამტკიცებულიყო კათედრის სხდომაზე. როგორც 1.2 შენიშვნაშია აღნიშნული, დაწესებულებამ ვიზიტის დროს კათედრის სხდომის ოქმები ვერ წარმოადგინა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ კათედრის სხდომის ოქმები არ ჰქონდათ. კახი ყურაშვილის მოსაზრებით, გასაგებია, რომ შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმი ჯერ არ ფუნქციონირებდა, მაგრამ თუკი დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტითვე არის განსაზღვრული კონკრეტული წესი, მაშინ დაწესებულება ვალდებულია შეასრულოს აღნიშნული რეგულაცია.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ხომ არ სცილდებოდა მოცემული საკითხის განხილვა ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციას. ნინო ფეტვიაშვილის განმარტებით, ექსპერტმა უნდა დაადგინოს გადის თუ არა სასწავლო კურსი ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ შედეგებზე, რაც ამ შემთხვევაში ვერ მოხერხდა. ავტორიზაციის ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში მე-2 უცხო ენის სწავლება მე-5 კლასში იწყებოდა დ3 დონის სახელმძღვანელოთი, მაშინ როდესაც, მასში საერთოდ არ იყო გათვალისწინებული უცხო ენის ანბანის სწავლება. შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ შედეგებზე და უნარებზე გასვლა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მისი მოსაზრებით, იყო შეუძლებელი. დაწესებულების მიერ არჩეული დ3 დონის სახელმძღვანელო შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო უცხო ენის სწავლების არა პირველ, არამედ მე-3 წელზე. ნინო ფეტვიაშვილის შეხედულებით, უცხო ენის სწავლების

პირველ წელს მოსწავლეებისთვის დ3 დონის სახელმძღვანელოს დაძლევა იქნებოდა შეუძლებელი.

კახი ყურაშვილის მოსაზრებით, სამსჯელო იყო ის საკითხი, თუ რამდენად შედიოდა ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციაში სახელმძღვანელოს ადეკვატურობის დადგენა საგანთან მიმართებაში. მნიშვნელოვანი იყო ექსპერტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დაწესებულების მიერ შერჩეული სახელმძღვანელოთი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებზე და უნარებზე გასვლა ვერ ხერხდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებდა აღნიშნულ საკითხს აუცილებლად გამოასწორებდნენ.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის მიხედვითაც მასში გაერთიანებული იყო სამი მიწის ნაკვეთი შემდეგი საკადასტრო კოდებით: 83.02.15.182; 83.02.15.183; 83.02.15.088. აღნიშნული ამონაწერის მიხედვით, (ს/კ: 83.02.15.205) შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმსა და შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმს შორის 5 წლის ვადით დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება. ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ ხელშეკრულება რეგისტრირებული იყო საჯარო რეესტრში.

2.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა შესაბამისი სპორტული ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ადგილზე გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ინვენტარი დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა.

2.3 პუნქტი მომხსენებლის განმარტებით იყო ფაქტობრივი გარემოება, ვინაიდან დაწესებულების სურვილი იყო განეხორციელებინა მხოლოდ პირველი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

2.4 შენიშვნასთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე საბჭოს ავტორიზაციის ექსპერტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასაკმარისი იყო, იმისათვის, რომ საბჭოს უტყუარად დაედგინა ფაქტობრივი გარემოება; თანაც, საბჭომ აღნიშნული საკითხი უკვე განიხილა 1.3 ხარვეზთან დაკავშირებით მსჯელობისას. ამიტომ ავტორიზაციის საბჭოს წევრების გადაწყვეტილებით, გადაწყდა, რომ 1.3 და 2.4 შენიშვნებს გადაწყვეტილების მიღებისას არ დაეყრდნობოდნენ.

2.5 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზი უკვე გამოსწორებული იყო. ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული იყო სკოლის შინაგანაწესი, წესდება და სასკოლო გეგმა.

2.6 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებული არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში დამონტაჟებული იყო 3 უსაფრთხოების კამერა, თუმცა მათი პარამეტრები არ შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

2.7 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შემოსული და გასული დოკუმენტაციისა და ბრძანებების აღრიცხვის ზონარგაყრილი, ბეჭედდასმული და დანომრილი ჟურნალები.

3.1 შენიშვნასთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებაში მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი. ადმინისტრაციის განმარტებით, მოსწავლეები ირიცხებოდნენ შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმში. შპს - ჩაღლარის

საგანმანათლებლო დაწესებულების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს ცენტრისთვის არ ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროცესს ქ. რუსთავთან ერთად იმავდროულად ასევე ახორციელებდა ქ. მარნეულშიც.

კახი ყურაშვილი დაინტერესდა, თუ რა სამართლებრივი ფორმით ფლობდა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმი სასკოლო ინვენტარს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებასა და შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. რუსთავის რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს შორის გაფორმებული იყო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც გადაცემული იყო სასკოლო ინვენტარი. დომუმენტაციის წარმოდგენის და შესწავლის შემდგომ ეს შენიშვნა მოიხსნა.

3.2 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აიგუნ ისმაილოვას ჰქონდა საჯარო სკოლაში რუსულის პედაგოგად მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ექსპერტის, ნინო ფეტვიაშვილის მიერ დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმებით დადგინდა, რომ აიგუნ ისმაილოვას ჰქონდა საჯარო სკოლაში რუსული ენის პედაგოგად მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება, რის შემდეგაც ეს შენიშვნაც მოიხსნა. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სხვა რუსული ენის პედაგოგი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას სხვა რუსული ენის პედაგოგი არ ჰყავდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ არ ჰყავდათ ასევე ხატვისა და ხელოვნების სხვა პედაგოგი.

3.3 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა ზემოაღნიშნულ პედაგოგზე, ცენტრში წარმოდგენილი იყო შესაბამისი დოკუმენტაცია, რათა მომხდარიყო მათ მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მიღებული განათლების აღიარება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2013 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით მხოლოდ აითან ხუდაევას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლება იყო აღიარებული ცენტრის შესაბამისი სამსახურის მიერ.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რას ასწავლიდა ელდანიზ ეიუბ ოღლი გასაოვი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პიროვნება ასწავლიდა სპორტს. კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სხვა სპორტის მასწავლებელი. შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათ სხვა სპორტის მასწავლებელი არ ჰყავდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნა იქნებოდა გამოსწორებული.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე 20:20 საათზე გამოცხადდა შესვენება.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომა განახლდა 20:55 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭომ არაარსებითად ჩათვალა 1.2 შენიშვნა, ვინაიდან სახელმძღვანელოები ერთხმად იყო დამტკიცებული პედაგოგიურ საბჭოზე. საბჭომ არ გაიზიარა 1.5 შენიშვნა, ვინაიდან საბჭოს წევრებმა ჩათვალეს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდებოდა ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციას. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტისა და დაწესებულების წარმომადგენლის ზეპირი ახსნა-განმარტების საფუძველზე რთულია

დადასტურება ან უარყოფა იმისა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისი აზერბაიჯანულენოვანი სახელმძღვანელოები. ერთის მხრივ ექსპერტი ადასტურებდა სახელმძღვანელოების არსებობას, მაგრამ ვინაიდან დაწესებულების მიერ არ იყო გაკეთებული სახელმძვანელოების ჩამონათვალი, ამიტომ ვერ მოხერხდა იმის გარკვევა შეესაბამებოდნენ თუ არა ისინი ეროვნულ სასწავლო გეგმას. კახი ყურაშვილის განმარტებით, ავტორიზაციის საბჭო თავის გადაწყვეტილებებს ამყარებს მხოლოდ უტყუარად დადასტურებულ გარემოებებზე. შესაბამისად, აღნიშნული შენიშვნა ავტორიზაციის საბჭოს მიერ არ იქნა გაზიარებული.

საბჭომ აღნიშნა, რომ მოიხსნა 2.1; 2.2; 2.3; 2.5, 2.7, 3.1 და 3.2 შენიშვნები.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, არსებით ხარვეზად დარჩა ის გარემოება, რომ სპორტის, ხატვისა და ხელოვნების პედაგოგებს არ ჰქონდათ შესაბამისი კვალიფიკაცია და დაწესებულებას აღნიშნულ საგნებში არ ჰყავდა სხვა ალტერნატიული პედაგოგები. თუმცა, ავტორიზაციის საბჭოს წევრების ნაწილმა მიიჩნიეს, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე დაწესებულება აღნიშნულ ხარვეზსს გამოასწორებდა.

კახი ყურაშვილის მოსაზრებით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მთავარი დანიშნულება იყო სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა. თუმცა, დაწესებულებაში არსებული ვიდეოკამერების ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს.

კახი ყურაშვილის მოსაზრებით, არსებითი ხასიათის შენიშვნა იყო ის, რომ თემატური და სამუშაო გეგმები განხილული არ იყო კათედრის სხდომებზე. აღნიშნულ წესს ითვალისწინებდა თავად დაწესებულების დებულება. დაწესებულებას მე-5 კლასიდან მეორე უცხო ენის სწავლების დასაწყებად სჭირდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, არსებითი ხასიათის შენიშვნებს წარმოადგენდა - 1.1; 1.4; 2.6 და 3.3 პუნქტები.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 100 მოსწავლისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 3 (კახი ყურაშვილი, მარინა ქავთარაძე, ლალი ღოღელიანი)

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ქ. მარნეულის აღმაშენებლის სახელობის სკოლა–ლიცეუმს (ს/კ: 434159091) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100-ით.

4. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარებსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სილაბუსში ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალში ჭარბობს რუსულენოვანი ლიტერატურა. პროგრამის წინაპირობაში არ არის შესაბამისი მოთხოვნა (რუსული ენის შესაბამის დონეზე ცოდნა). თუმცა ადმინისტრაციისა და პროგრამის ავტორების გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მიმდინარეობს სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოების თარგმნის პროცესი. წარმოდგენილ იქნა შესაბამისი თარგმანების ნაწილი. დანარჩენის თარგმნა მიმდინარეობს. ამ შენიშვნის აღმოფხვრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაწესებულების აკადემიური საბჭოს სხდომაზე 2012 წლის 5 ნოემბერს (ოქმი N12).

2. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

2.1 შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა უკავია 15 პროფესორს (მათ შორის 5 სრულ პროფესორს, 8 ასოცირებულ პროფესორს და 2 ასისტენტ პროფესორს). პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის მონაცემებით, დაწესებულებას ვერ დაუდასტურდა შემდეგი პერსონალი - გიორგი კიკვიძე (სრული პროფესორი); როლანდ რიჩკოვი (სრული პროფესორი); ვახტანგ თავბერიძე (ასოცირებული პროფესორი); ვალერიან იმნაიშვილი (ასოცირებული პროფესორი); ვაჟა ჭარხალაშვილი (ასოცირებული პროფესორი); ავთანდილ ქეცბაია (ასოცირებული პროფესორი); თამაზ ართმელაძე (ასისტენტ-პროფესორი); ომარ ლომიძე (ასისტენს-პროფესორი); ქეთევან გოლეთიანი (სრული პროფესორი); რუსუდან დიასამიძე (სრული პროფესორი).

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

რუსულენოვან სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა საგანში ქართულ ენაზე არსებობდა სალექციო კურსები. დამატებით მიმდინარეობდა რუსულენოვანი წიგნების ქართულ ენაზე თარგმნა. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობდა თუ არა ამ სფეროში ქართული სახელმძღვანელოები. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საზღვაო მეცნიერებებში ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა იყო ძალიან მწირი. ამასთან,

ზოგიერთი სასწავლო კურსის სრულყოფილად სწავლებისთვის აუცილებელი იყო უცხოენოვანი სახელმძღვანელოების გამოყენება, ვინაიდან ქართული სახელმძღვანელოები არ არსებობდა. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლებისთვის არ არსებობდა ქართული სახელმძღვანელოები, შესაბამისად, დაწესებულება იყენებდა უცხოენოვან ლიტერატურას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ პირველკურსელები სწავლობდნენ რუსულ ენას და უტარდებოდათ ტესტირება. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო ფეტვიაშვილმაც.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის ლალი ღოღელიანის მოსაზრებით, საზღვაო დარგი იყო სპეციფიკური და ქართული ლიტერატურა ან საერთოდ არ არსებობდა ან იყო ძალიან მწირი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა, დაახლოებით რამდენ პროცენტს შეადგენდა ქართულ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა საგანში გაკეთებული იყო სალექციო კურსი, რომელიც განთავსებული იყო ბიბლიოთეკაში და შესაბამისად, ხელმისაწვდომი იყო სტუდენტებისთვის.

2.1 შენიშვნასთან დაკავშირებით ცენტრის რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის უფროსმა, ნინო წერეთელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული პროფესორ-მასწავლებლები რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესორ-მასწავლებელთა ერთიან რეესტრში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდგომ დაწესებულებამ გაზარდა აკადემიური პერსონალის რიცხოვნობა და 2013 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით ჰყავდა სულ 26 პროფესორი. ადგილზე გადამოწმების შედეგად, ნინო წერეთელმა აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ მას ნანახი ჰქონდა აღნიშნული დაწესებულების მატერიალური ბაზა და მისი აზრით, დაწესებულება თავისუფლად შესძლებდა 800 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. მოცემული მოსაზრება გაიზიარა ასევე ავტორიზაციის საბჭოს წევრმა ლალი ღოღელიანმა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების სასწავლო ფართი შეადგენდა 2004.5 კვ.მ-ს, დარგის სპეციფიკიდან და იმის გათვალისწინებით, რომ შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა სასწავლო-საცურაო პრაქტიკის გასავლელად გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დაახლოებით 15 დაწესებულებასთან, შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა შესაძლებლობა საგანმანათლებლო გარემო შეექმნა 800 სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების შემთხვევაში, შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის საფუძველზე დამატებით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნაზე.

1. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ინგლისურენოვანი პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს მასწავლებელი ზვიად გიორგაძე, რომელიც კითხულობს მათემატიკის სასწავლო კურსს. პირადი საქმის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ზვიად გიორგაძე კვალიფიკაციით არის მათემატიკოსი, მაგრამ არ აქვს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წარუდგინა ა(ა)იპ - აჭარის განათლების ფონდის მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებდა რომ ზვიად გიორგაძეს გავლილი ჰქონდა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების საშუალო საფეხური. სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას პროფესიულ პროგრამაზე დასაქმებული სხვა ინგლისური ენის მასწავლებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიურ პროგრამებზე მათ ჰყავდათ ინგლისური ენის მასწავლებლები, რომლებსაც საჭიროებისამებრ გამოიყენებდნენ ასევე პროფესული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების დროსაც.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთათვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განსაზღვრულიყო 200 პროფესიული სტუდენტით.

ავტორიზაციის ექსპერტი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 200 პროფესიული სტუდენტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს

კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245433623) 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

5. „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

ცენტრის წარმომადგენელმა კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს წევრებს გააცნო დაწესებულების წერილობითი შუამდგომლობა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №93 გადაწყვეტილებით სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობად განესაზღვრა 10641 სტუდენტი, მათ შორის 1121 პროფესიული სტუდენტი.

დაწესებულების სურვილია სტუდენტთა მაქსიმალური კვოტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შემცირდეს 200 პროფესიულ სტუდენტამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებით არ ირღვეოდა დაწესებულებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა მაქსიმალური ოდენობა, შესაბამისად თავისუფლად შეიძლებოდა დაწესებულების შუამდგომლობის დაკმაყოფილება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს თავმჯდომარის მოსაზრება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 21 ივლისის №93 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და სტუდენტთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 10641-ით და სტუდენთა ადგილების მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

6. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #53ᵃ-ში, საქართველოს საპატრიარქოსთან გაფორმებული თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე, ფლობს უძრავ ქონებას, კერძოდ, ორ სასწავლო კორპუსს:

#1 - საერო ფართით - 3969.1 კვ.მ, მათ შორის სასწავლო ფართი - 1631.1 კვ.მ.

#2 - საერო ფართით - 1983.85 კვ.მ, მათ შორის სასწავლო ფართი - 1104.5 კვ.მ.

აღნიშნული ფართი აღჭურვილია სასწავლო მიზნებისათვის საჭირო ინვენტარით, მათ შორის მერხებით, სკამებით, ლაბორატორიებითა და კომპიუტერებით (სულ - 180 ერთეული).

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 15 560 ერთეულ წიგნს.

2. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

უნივერსიტეტი ახორციელებს 9 საბაკალავრო, 18 სამაგისტრო და 15 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი განათლების, სამუშაო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების მქონე პერსონალი:

სრული პროფესორი - 20

ასოცირებული პროფესორი - 14

ასისტენტ - პროფესორი - 4

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და დააზუსტა, თუ რა გარემოებები შეიცვალა, რომლებიც შესაძლოა გამხდარიყო კონტინგენტის გაზრდის საფუძველი.

ექსპერტის, მაია ხურცილავას, განცხადებით, დაწესებულებამ დაიმატა სასწავლო ფართი, ხოლო კონკურსის საფუძველზე - ადამიანური რესურსი.

კახი ყურაშვილმა დააზუსტა, ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ, გაიზარდა თუ არა საბიბლიოთეკო ფონდი. ექსპერტმა დაადასტურა ზემოაღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა 1500 სტუდენტამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, მიაჩნდა თუ არა მას, რომ დაწესებულებამ იმგვარად მოახდინა მატერიალური და ადამიანური რესურსის გაზრდა, რომ შესაძლებელი იყო სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-მდე გაზრდა.

მაია ხურცილავას განცხადებით, დაწესებულებას შეეძლო 1500 სტუდენტის მომსახურება.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის დროს, იმ პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განესაზღვრა სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა 1000-ით. შემდგომ პერიოდში ამავე დაწესებულების მიერ მოხდა, როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსის გაუმჯობესება, ამდენად, შესაძლებელი იყო კონტინგენტის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებითა და ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ელენე ჯიბლაძემ, განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს მისი მატერიალური რესურსის, კერძოდ, დასკვნაში დაფიქსირებული მონაცემების გათვალისწინებით, შეეძლო 1500 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205233022) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500-ით.

7. შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძე.

1. **მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით**

შპს - „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი" თბილისში, კ. ქუთათელაძის ქ. №3-ში, საკუთრების უფლებით ფლობს უძრავ ქონებას (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.14.03.041.017), სადაც, ვიზიტის დროს მიმდინარეობდა სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები. სამუშაოების დასრულება იგეგმება 2013 წლის 17 თებერვლამდე. სამუშაოები მიმდინარეობს თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და სამსახურის მიერ გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე (ბრძანება №337657, განცხადება №AR157936, გაცემის თარიღი: 05.09.2012წ). სამუშაოს შესრულებაზე ხელშეკრულება გაფორმებულია სამშენებლო კომპანია შპს - „გრუსიასთან" (საიდენტიფიკაციო კოდი: 238121297). აღნიშნული შენობის საერთო ფართი საჯარო რეესტრის მონაცემებით შეადგენს 1656.7 კვ.მ. სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო, ვიზიტის დროს, ვერ მოხდა სასწავლო და დამხმარე ფართის გამიჯვნა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ აღნიშნულ მისამართზე საერთო ფართი იქნება 2937.85 კვ.მ.

უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობას ექსპერტთა ვიზიტის მომენტისათვის ახორციელებს შემდეგ მისამართებზე:

1) თბილისი, გ. აბესაძის ქ. №6 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.18.03.038.021)
   საერთო ფართი - 1096.6 კვ.მ, აქედან სასწავლო ფართი - 336.4 კვ.მ.
2) თბილისი, გ. აბესაძის ქ. №4/6 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.18.03.038.022.01.501)
   საერთო ფართი - 163 კვ.მ, აქედან სასწავლო ფართი - 121.03 კვ.მ.
3) თბილისი, გ. აბესაძის ქ. №4 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.18.03.038.022.01.506)
   საერთო ფართი - 61.94 კვ.მ, აქედან სასწავლო ფართი - 61.94 კვ.მ.
4) თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47 (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.14.03.035.004)
   საერთო ფართი - 329.53 კვ.მ, აქედან სასწავლო ფართი - 237.3 კვ.მ.

სულ საერთო ფართი შეადგენს 1651.07 კვ.მ. მათ შორის სასწავლო ფართია 756.67კვ.მ.

2013 წლის 17 თებერვლიდან, უნივერსიტეტი საგანმანათლებლო საქმიანობის განახორციელებას გეგმავს მხოლოდ შემდეგ მისამართებზე:

1. თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3.
2. თბილისი, გ. აბესაძის ქ. №6.

2. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

უნივერსიტეტში განაცხადის წარმოდგენის მომენტისათვის ხორციელდება 3 საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- თეოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი განათლების, სამუშაო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილებით დადასტურებული კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (სულ - 31):

- სრული პროფესორი - 11
- ასოცირებული პროფესორი - 16
- ასისტენტ-პროფესორი - 4

ვიზიტის დროს სასწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე სტუდენტთა სარგებლობისთვის ირიცხება 270 ერთეული სკამი დაფით, 140 ორადგილიანი მერხი შესაბამისი სკამით, 12 ექვსადგილიანი საკონფერენციო მაგიდა შესაბამისი სკამით, 24 რვაადგილიანი მაგიდა საკონფერენციო, 153 ერთადგილიანი მერხი შესაბამისი სკამით - სულ 608 სტუდენტისათვის.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 17 177 ერთეულ წიგნს. პორტატული კომპიუტერი (ნოუთბუქი) – 34 ერთეული და პერსონალური კომპიუტერი 22.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და დააზუსტა, თუ რა გარემოებები შეიცვალა, რომლებიც შესაძლოა გამხდარიყო კონტინგენტის გაზრდის საფუძველი.

ექსპერტის, მაია ხურცილავას, განცხადებით, დაწესებულებას სურდა დაემატებინა სასწავლო ფართი, ხოლო კონკურსის საფუძველზე, უნივერსიტეტს გაზრდილი ჰქონდა ადამიანური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სასწავლო უნივერსიტეტს სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა 600-მდე.

საბჭოს წევრმა, ლალი ღოღელიანმა, დააზუსტა, თუ რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა დაწესებულებაში ამ დროისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საბჭოს სხდომის წინა დღის მონაცემებით, სასწავლო უნივერსიტეტში 294 სტუდენტი სწავლობდა.

საბჭოს თავმდჯომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა საქმის ფაქტობრივი მონაცემები.

ექსპერტის, მაია ხურცილავას, განცხადებით დაწესებულებაში, ვიზიტის დროს, მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, კერძოდ, ახდენდნენ მიშენებას. თუმცა, მათ ვერ წარმოადგინეს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დადასტურდებოდა დაწესებულების მართლზომიერი ფლობა აღნიშნულ ფართზე.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგნელის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის შესაბამისი ნებართვა, სადაც მითითებულია, თუ რა რაოდენობის ფართი იქნება მიშენებული. მანვე მიუთითა ავტორიზაციის დებულების 34-ე მუხლის მესამე პუნქტზე და საბჭოს გადაწყვეტილებებზე და განაცხადა, რომ მათ იმედი ჰქონდათ, რომ კონტინგენტის გაზრდის მიზნებისათვის სარემონტო მდგომარეობაში მყოფი შენობა ამ მიზნისათვის ჩაითვლებოდა.

ამასთან, დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა და განმარტა, რომ იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა შენობის სარემონტო სამუშაოების დასრულება, სასწავლო უნივერსიტეტი შეინარჩუნებდა იმ მისამართებზე მატერიალურ რესურს, სადაც აქამდე მიმდინარეობდა სწავლება, კერძოდ, თბილისი, გ. აბესაძის ქ. №6, თბილისი, გ. აბესაძის ქ. №4/6, თბილისი, გ. აბესაძის ქ. №4, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენლების მეშვეობით, საჯარო რეესტრის მონაცემების საფუძველზე გადაამოწმა ზემოაღნიშნულ მისამართებზე დაწესებულების მართლზომიერი ფლობის საკითხი, რაც დადასტურებული იქნა.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ახალი სასწავლო კორპუსზე სამშენებლო სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის 17 აპრილს, ხოლო 1 ივნისისათვის მოხდება საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, გადაწყვეტილების მიღების დროისათვის, საბჭო ხელმძღვანელობს იმ ფართით, რომლზედაც დასტურდება დაწესებულების კანონიერი მფლობელობის ფაქტი. კახი ყურაშვილმა დააზუსტა იყო თუ არა ამონაწერი იმ მიწაზე, რომელზედაც მიმდინარეობდა მშენებლობა. ექსპერტმა და დაწესებულების წარმომადგენელმა ზემოაღნიშნული დაადასტურა და საბჭოს წარედგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

კახი ყურაშვილმა დააზუსტა, თუ როდის მთავრდებოდა სამშენებლო ნებართვის ვადა. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ვადა აგვისტოს ბოლოსათვის იწურებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთან და საბჭოს წევრებთან ერთად სხდომის მიმდინარეობისას განიხილა სამშენებლო პროექტი და წარმოდგენილი ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მითითება გააკეთა ავტორიზაციის დებულების 34-ე მუხლის მესამე პუნქტის იმ ნაწილზე, რომელიც აფრთხილებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ სტუდენტთა ჩარიცხვის მომენტისთვის თუკი არ იარსებებდა შესაბამისი გარემოებები, რომლის გათვალისწინებითაც შესაძლოა მიღებულ იქნას კონტინგენტის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება, მის მიღებამდე არსებული ადგილების რაოდენობის გადაჭარბება ჩაითვლება ავტორიზაციის გაუქმების საფუძველად.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, ისინი აცნობიერებდნენ აღნიშნულ პასუხისმგებლობას. მისი განცხადებით, დაწესებულებას ავტორიზაციის გავლა მიმდინარე წლის ბოლოსათვის ეკუთვნის და შესაბამისად, აღნიშნული გარემობა ამ კუთხითაც გადამოწმებული იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებამ არსებითად გაზარდა რესურსი, მათ შორის აკადემიური პერსონალიც. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტმა აკრედიტაციის გზით დაიმატა 3 საბაკალავრო პროგრამა, ამდენად, სურს ჯამში 6 პროგრამის განხორციელება. მისი განცხადებით, აღნიშნულ პროგრამებზე მიღების გამოცხადებას ძველი კონტინგენტის ფარგებში აზრი არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭოსთვის გასაგები იყო დაწესებულების სურვილი.

შესვენება გამოცხადდა 22:12
საბჭოს სხდომა განახლდა 22:31

კახი ყურაშვილის განცხადებით, საბჭოს არ შეეძლო მხედველობაში მიეღო ის ფართი, რომელიც არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამასთან, 4 შენობის საერთო ფართისა (1651.07 კვ.მ.) და იმ ფართის გათვალისწინებით, რომელიც დარეგისტრირებული და რემონტის მდგომარეობაში იყო (1656.7 კვ.მ.) საბჭოს უნდა ემჯელა კონტინგენტის გაზრდის საკითხზე.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭო მხედველობაში მიიღებდა მხოლოდ 3307.77 კვ.მ.- ის ფართს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა 600 სტუდენტამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებითა და ექსპერტთა ჯგუფის პოზიციის გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის სტუდენტთა მიღებას. ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ელენე ჯიბლაძემ, განაცხადა, რომ შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს მისი მატერიალური რესურსის, კერძოდ, დასკვნაში დაფიქსირებული მონაცემების გათვალისწინებით, შეეძლო 600 სტუდენტისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხზე.

შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204426834) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:42 საათზე.

კახი ყურაშვილი
თავმჯდომარე

გაიანე სიმონია
მდივანი